თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2021417

ნომერი: AR1325270

თარიღი : 08.07.2015

გაცემის თარიღი : 22.07.2015

გაცნობის თარიღი : 23.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი II და III მ/რ შორის კორპ. N19-ის მოპირდაპირედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ძაგნიძე პ/ნ 01007015689
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 59 ბ. 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.11.2014წ. №1590516 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 08/07/2015წ. AR1325270 განაცხადით მომართა ბექა ძაგნიძემ და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 12.11.2014წ. №1590516 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 12.11.2014წ. №1590516 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, დიდი დიღომი, II და III მ/რ შორის, კორპ. №19-ის მოპირდაპირედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.026), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ა" ბლოკის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დაჯამებისას დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო, არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 12.11.2014წ. №1590516 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3636.4, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 347.6.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება, ასევე გამოიწვევს ბრძანებაში დაფიქსირებული საერთო ფართობის მაჩვენებლის შეცვლას, რომელიც ცვლილებების შედეგად შეადგენს: 5961.5 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.11.2014წ. №1590516 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3636.4, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 347.6, საერთი ფართობი (კვ.მ).: 5961.5, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.11.2014წ. №1590516 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge